მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №18
2022 წლის 11 თებერვალი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს.კ:41.09.34.395 მდებარე ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნუკრი გეგიას ქუჩის მიმდებარედ, ფართობი 7456 კვ.მ.) მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისთვის, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადაცემის თაობაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე–2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტის, მარტვილის მუნიციპალიტეტის, გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის 2022 წლის 02 თებერვლის №5 წერილის შესაბამისად მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს, მარტვილის მუნიციპალიტეტის გივი ელიავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, უსასყიდლო უზუფრუქტის წესით (არსებობის ვადით) გადასცეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება (სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების) მიწის ნაკვეთი ს.კ:41.09.34.395, მდებარე ქ. მარტვილის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნუკრი გეგიას ქუჩის მიმდებარედ 7456 კვ.მ. ფართობი.
2. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უზუფრუქტის წესით გადაცემული ქონება 7456 კვ.მ. (საკ. კოდი 41.09.34.395) დაუბრუნდეს მესაკუთრეს, მარტვილის მუნიციპალიტეტს.
3. განკარგულება გადაეგზავნოს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა